



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო



განკარგულება:გ-49.49203182

თარიღი:13/11/2020

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №36 79

წყალტუბოს მუნიციპალიტეტსა და შპს „ორბიტას“ შორის 2016 წლის 22 ნოემბერს გაფორმებულ N23 ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის შესახებ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ განიხილა მუნიციპალიტეტის მერის (№48-482031560; 10/11/2020) წერილი, რომელშიც მერი, მოიჯარე შპს „ორბიტას“ წარმომადგენლის ეკატერინე ნიკოლაიშვილის განცხადების საფუძველზე, ქვეყანაში შექმნილი სიტუაციისა და მძიმე ეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინებით, ითხოვს თანხმობას საკრებულოსგან, რომ მოხდეს წყალტუბოს მუნიციპალიტეტსა და შპს „ორბიტას“ შორის 2016 წლის 22 ნოემბერს გაფორმებულ N23 ხელშეკრულების მეოთხე მუხლის მეორე პუნქტში ცვლილების შეტანა შემდეგი სახით: მოიჯარემ წლიური საიჯარო ქირა 20088 ლარი გადაიხადოს ერთჯერადად ყოველი წლის 30 სექტემბრამდე, ხელშეკრულების ვადის შეწყვეტამდე. 2020 წლის 30 სექტემბრამდე გადასახდელი საიჯარო ქირა 20088 ლარი მოიჯარემ გადაიხადოს 2021 წლის 30 სექტემბრამდე, 2021 წლის საიჯარო ქირასთან ერთად. ამ პერიოდის განმავლობაში არ მოხდეს პირგასამტეხლოს დაკისრება.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან, საქართველოში ახალი კორონავირუსით (COVID-19) გამოწვეული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესების გამო, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების მოსარგებლეებს (მოიჯარეებს) უჭირთ იჯარის თანხის გადახდა მუნიციპალიტეტისათვის, მათი დახმარების მიზნით, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ პუნქტის „დ.ე“ ქვეპუნქტისა და 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად:

1. მიეცეს თანხმობა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერს, განახორციელოს სარგებლობის უფლებით გადაცემული მუნიციპალიტეტის ქონების მიმღების ამ ქონებასთან დაკავშირებული პირობის შეცვლა, კერძოდ ქონებით სარგებლობისათვის დადებულ წყალტუბოს მუნიციპალიტეტსა და შპს „ორბიტას“ შორის 2016 წლის წლის 22 ნოემბერს გაფორმებული N23 ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა, მერის 2020 წლის 10 ნოემბრის N48-482031560 წერილში მითითებული პირობებით, მოსარგებლისათვის

გადასახდელი საიჯარო ქირის გადავადების მიზნით.

2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიას.
3. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11).

პაატა ახალაძე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე (დროებით მოვალეობის
შემსრულებელი)

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

